

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 005/18¹ რეკომენდაციის მოკლე მიმოხილვა

მარიამ ლეკიშვილი(სტუდენტი)

შეკითხვა: ადვოკატი იცავდა ბრალდებული ქალბატონის ინტერესებს მის მეუღლესთან გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად. გარკვეული პერიოდის შემდეგ ამ ქალბატონმა მეუღლის წინააღმდეგ აღძრა საქმე და ამავდროულად გამოთქვა სურვილი იმავე ადვოკატს გაეწია მისთვის წარმომადგენლობა. კლიენტის მეუღლე, რომელიც არის ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირი, აცხადებს, რომ ამ ხელშეკრულებას გააუქმებს, რისი უფლებაც ამავე ხელშეკრულებით მას აქვს. რა უნდა მოიმოქმედოს ადვოკატმა?

ანალიზი: ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობა, აპკ-ის მე-8 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, იწყება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმება შესაძლოა დაიდოს როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი ფორმით. ასეთი ხელშეკრულება განიხილება, როგორც დავალების ხელშეკრულება, ვინაიდან ადვოკატი რწმუნებულებით ვალდებულია შეასრულოს მისთვის დავალებული რამდენიმე მოქმედება მარწმუნებლის სახელით და ხარჯზე. (სსკ-709-ე მუხლი). ხელშეკრულების დადების თავისუფლების პრინციპიდან გამომდინარე მხარეს უფლება აქვს თავად აირჩიოს კონტრაჰენტი, დადოს ან შეწყვიტოს ხელშეკრულება და ამავდროულად უარი თქვას მის შესრულებაზე. იმ შემთხვევაშიც, როდესაც გარკვეული მიზეზის გამო, რაც, კონკრეტულ სიტუაციაში, გამოიხატა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ყოფნით, დაცვის ქვეშ მყოფი პირი ვერ აწერს ხელს იურიდიული მომსახურების ხელშეკრულებას და ხელმომწერია კლიენტთან ურთიერთობაში მყოფი უფლებამოსილი პირი, დასაცავი პირი წარმოადგენს კლიენტს და ადვოკატთან ურთიერთობის გაგრძელების საკითხის გადაწყვეტაც სწორედ მის ნებაზეა დამოკიდებული. შესაბამისად, შეთანხმების შემთხვევაში, მიუხედავად ხელმომწერი პირის განცხადებისა, ადვოკატმა წარმომადგენლობა უნდა გააგრძელოს. თუ მოხდება იმ კონკრეტული ხელშეკრულების გაუქმება, რომლის საფუძველზეც ხდებოდა წარმომადგენლობის განხორციელება, შესაძლებელია ადვოკატსა და უშუალოდ კლიენტს შორის გაფორმდეს ახალი ხელშეკრულება, სადაც გაიწერება მომსახურების ფარგლები და მხარეთა უფლება-მოვალეობები. ასევე, მნიშვნელოვანია, შესაძლებლობის შემთხვევაში, ადვოკატმა დააფიქსიროს მისი კლიენტის და მისი მეუღლის ნება, თუ რატომ ხდება „ძველი“ ხელშეკრულების გაუქმება და რა სურვილი აქვს კლიენტს.

დასკვნა: იმ შემთხვევაშიც, თუ დაცვის ქვეშ მყოფი პირი ვერ აწერს ხელს იურიდიული მომსახურების ხელშეკრულებას და ხელმომწერია კლიენტთან ურთიერთობაში მყოფი უფლებამოსილი პირი, დასაცავი პირი წარმოადგენს კლიენტს და ადვოკატთან ურთიერთობის გაგრძელების საკითხის გადაწყვეტაც სწორედ მის ნებაზეა დამოკიდებული, რაც, შესაძლოა გამოიხატოს ახალი ხელშეკრულების გაფორმებითაც, თუ რაიმე მიზეზის გამო გაუქმდება უკვე არსებული წერილობითი შეთანხმება. მნიშვნელოვანია და რეკომენდირებულია ადვოკატმა დააფიქსიროს მისი კლიენტის და მისი მეუღლის ნება, თუ რატომ ხდება „ძველი“ ხელშეკრულების გაუქმება და რა სურვილი აქვს უშუალოდ კლიენტს.